



საქართველოს კონტროლის პალატის
2008 წლის საქმიანობის
ა ნ გ ა რ ი შ ი

2008 წელი

შინაარსი

1. საქართველოს კონტროლის პალატის სტატუსი და უფლებამოსილებანი ----- 3 გვ.
2. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ 2008 წელს განხორციელებული საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობა ----- 5 გვ.
 - 2.1. საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის გეგმა და მისი შესრულების მდგომარეობა ----- 6 გვ.
 - 2.2. 2008 წელს განხორციელებული საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მიმოხილვა ----- 8 გვ.
 - 2.3. 2008 წელს ჩატარებული რევიზია-შემოწმებების შედეგებზე მიღებული ზომები ----- 20 გვ.
3. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ 2008 წელს განხორციელებული სხვა საქმიანობა ----- 23 გვ.
 - 3.1 კონტროლის პალატის ორგანიზაციული და სტრუქტურული სრულყოფა ----- 23 გვ.
 - 3.2 კონტროლის პალატის საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა ----- 27 გვ.
 - 3.3 კონტროლის პალატის ფინანსები და ქონება ----- 29 გვ.
 - 3.4 კონტროლის პალატის საერთაშორისო ურთიერთობები ----- 32 გვ.
 - 3.5 ურთიერთობები საქართველოს პარლამენტთან ----- 33 გვ.
4. კონტროლის პალატის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები (2009-2011 წ.წ.) ----- 33 გვ.

1. საქართველოს კონტროლის პალატის სტატუსი და უფლებამოსილებანი

საქართველოს კონტროლის პალატა არის დამოუკიდებელი, აპოლიტიკური და პროფესიონალური ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს აუდიტს და შექმნილია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვას და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, ასევე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

საქართველოს კონტროლის პალატის, როგორც სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოს კომპეტენცია განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“, საქართველოს კანონებით: „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ზედამხედველობის შესახებ“ და სხვა.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რომელიც ამოქმედდა 2009 წლის 29 იანვრიდან, კონტროლის პალატა წარმოადგენს უწყებრივად, ფინანსურად, ფუნქციონალურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც ემორჩილება კანონს და ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე.

ამავე კანონის თანახმად კონტროლის პალატის უფლებამოსილება, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ვრცელდება საკანონმდებლო, აღმსრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე, სახელმწიფოს. ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით

შექმნილ საწარმოზე, სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე.

საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლისა და „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს კონტროლის პალატა ვალდებულია, არაუგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 ივნისისა თავისი საქმიანობის წლიური ანგარიში წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს.

წინამდებარე ანგარიშში ასახულია 2008 წელს კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის ძირითადი შედეგები, წარმოდგენილია ჩატარებული რევიზიებისა და შემოწმებების შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევა-ნაკლოვანებების ანალიზი.

ანგარიშში, ასევე მოცემულია ინფორმაციები პალატის მიერ განხორციელებული სხვა საქმიანობის შესახებ, კერძოდ: 2008 წელს დაწყებული და ამჟამად მიმდინარე სტრუქტურული და ორგანიზაციული ცვლილებების, საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფის, პალატის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, მუშაკთა პროფესიონალური დონის ამაღლებისა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, საქართველოს პარლამენტთან, სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან და უცხოეთის ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარების შესახებ.

ანგარიშის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია იმ ძირითად ღონისძიებათა მოკლე მიმოხილვა, რომელიც გათვალისწინებულია კონტროლის პალატის 2009-2011 წლების სტრატეგიული გეგმით და რომელთა თანმიმდევრული შესრულება უზრუნველყოფს კონტროლის პალატის გარდაქმნას სახელმწიფო სექტორის სრულფასოვანი აუდიტის განმახორციელებელ თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტებით მოქმედ დამოუკიდებელ ინსტიტუციად.

2. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ 2008 წელს განხორციელებული საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობა

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ 2008 წელს განხორციელებული საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის საფუძველს წარმოადგენდა „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 15 აპრილს მიღებული კანონი და ამ კანონის მიხედვით, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 20 ივნისის N75-ორგ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კონტროლის პალატის ერთიანი რეგლამენტი“.

ზემოთ ხსენებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე შემუშავებული საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის 2008 წლის წლიური და კვარტალური გეგმებისა და აგრეთვე კონტროლის პალატის პრეზიდიუმის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიხედვით 2008 წელს დაწყებული რევიზია-შემოწმებების საერთო რაოდენობამ მოიცვა 320 შესამოწმებელი ობიექტი, საიდანაც 290 ობიექტის მიხედვით შემოწმებები დამთავრებული იქნა 2008 წლის ბოლომდე, ხოლო 9 ობიექტის შემოწმების დამთავრება მოხდა 2009 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში, რაც შეეხება დანარჩენი 21 ობიექტს მათი შემოწმება შეჩერებულ ან შეწყვეტილ იქნა.

2008 წელს ჩატარებული რევიზია-შემოწმებები, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი უფლებამოსილებებისა და კონტროლის პალატის პრეზიდიუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად ძირითადად მიმართული იყო ისეთი საკითხების შესწავლაზე და ანალიზზე, როგორიცაა: საბიუჯეტო პროცესის ორგანიზების, განხორციელებისა და ასევე სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების მდგომარეობა.

ჩატარებული რევიზია-შემოწმებების მიხედვით სხვადასხვა ზომით იქნა მოცული ეკონომიკური საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულება და სფერო, რომელიც წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური კანონების შესაბამისად.

შემოწმებას დაექვემდებარა რამდენიმე მსხვილი მხარჯავი დაწესებულება, სახელმწიფო პროგრამა და ღონისძიება, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში.

2.1. საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის გეგმა და მისი შესრულების მდგომარეობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონტროლის პალატის 2008 წლის საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობა წარმართებოდა პალატის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის წლიური-პერსპექტიული და კვარტალური გეგმები.

საანგარიშო პერიოდში კონტროლის პალატის საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის წლიური-პერსპექტიული და კვარტალური გეგმების პროექტების შემუშავება, სარევიზიო დეპარტამენტებთან და ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატებთან შეჯერება, შეჯერებული პროექტების განხილვა და დამტკიცება საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის მიერ ხორციელდებოდა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2007 წლის 20 ივნისის N75-ორგ ბრძანებით დადგენილი წესისა და ვადების დაცვით.

სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების მომართვების განხილვისა და კონტროლის პალატის პრეზიდიუმის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე, ხდებოდა გეგმების კორექტირება და ეს მიმართვები დადგენილი წესით აისახებოდა საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის პერსპექტიულ და კვარტალურ გეგმებში.

ერთიანი რეგლამენტით დადგენილი წესის თანახმად, საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის პერსპექტიული და კვარტალური გეგმებში შესაბამისი შესწორებები და დაზუსტებები ხორციელდებოდა სარევიზიო დეპარტამენტებისა და ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვისა და პალატის პრეზიდიუმის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველზე.

მთლიანობაში, საქართველოს კონტროლის პალატის საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის პერსპექტიული და კვარტალური დაზუსტებული გეგმების მიხედვით

2008 წელს განისაზღვრა 281 რევიზია-შემოწმების ჩატარება, საიდანაც 84 წარმოადგენდა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კომპლექსურ რევიზიას, 104 თემატურ შემოწმებას, ხოლო 93, წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების (მიმდინარეობის) თაობაზე მთავრობის ანგარიშთან (მოხსენებასთან) დაკავშირებით კონტროლის პალატის მოხსენების მომზადების მიზნით განხორციელებულ თემატურ შემოწმებას (ანალიზს).

2009 წლის პირველი იანვრისათვის დამთავრდა 2008 წლის დაზუსტებული გეგმის მიხედვით დაწყებული 256 რევიზია-შემოწმება, საიდანაც 78 წარმოადგენს კომპლექსურ რევიზიას, 91 თემატურ შემოწმებას და 87 სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით, კონტროლის პალატის მოხსენების მომზადების მიზნით განხორციელებულ თემატურ შემოწმებას (ანალიზს).

2009 წელში გადავიდა 2008 წლის პერსპექტიული და კვარტალური გეგმების მიხედვით დაწყებული 7 რევიზია-შემოწმება, საიდანაც 4 წარმოადგენს კომპლექსურ რევიზიას, ხოლო 3 თემატურ შემოწმებას.

2008 წლის განმავლობაში სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეჩერებულ ან შეწყვეტილ იქნა 2008 წლის საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის დაზუსტებული გეგმებით დაწყებული 18 რევიზია-შემოწმება, საიდანაც 2 წარმოადგენს კომპლექსურ რევიზიას, 10 თემატურ შემოწმებას და 6 სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით, კონტროლის პალატის მოხსენების მომზადების მიზნით განხორციელებულ თემატურ შემოწმებას (ანალიზს).

ამრიგად, როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს 2008 წლის ბოლომდე კონტროლის პალატის მიერ დაწყებულ იქნა საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის 2008 წლის დაზუსტებული გეგმებით გათვალისწინებული ყველა რევიზია და შემოწმება (იხ. დანართი N1 და N2).

ამასთან, 2008 წლის დასაწყისში დამთავრდა 2007 წლის საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის გეგმით გათვალისწინებული და საანგარიშო წელში გადმომავალი 11 რევიზია შემოწმება, საიდანაც 11-ვე წარმოადგენდა კომპლექსურ რევიზიას.

კონტროლის პალატის პრეზიდიუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე 2008 წელს დაიწყო 39 არაგეგმური რევიზია-შემოწმება, საიდანაც 2008 წლის ბოლომდე დამთავრდა 34 და 2009 წელში გადავიდა 2 რევიზია-შემოწმება. 2008 წელს დაწყებული 3 არაგეგმური რევიზია-შემოწმება შეჩერებული (შეწყვეტილი) იქნა კონტროლის პალატის თავმჯდომარის გადაწყვეტილებების საფუძველზე.

2008 წლის დასაწყისში დამთავრდა 2007 წლიდან გადმომავალი 2 არაგეგმური რევიზია-შემოწმება და ამრიგად 2008 წელს დამთავრებულმა არაგეგმური რევიზია-შემოწმებების საერთო რაოდენობამ 36 შეადგინა.

მთლიანობაში საქართველოს კონტროლის პალატის მიერ 2008 წელს დაწყებულმა და წლის ბოლომდე დამთავრებულმა რევიზია-შემოწმებების საერთო რაოდენობამ 290 შეადგინა რაც 2-ით მეტია 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

2008 წელს დასრულებული რევიზია-შემოწმებების საშუალო ხანგრძლივობამ 36 კალენდარული დღე შეადგინა, რაც 2 დღით აღემატება 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. დასრულებული რევიზია-შემოწმებების საშუალო ხანგრძლივობის ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო შესამოწმებელი საკითხების მოცულობის სიდიდით, მათი სირთულით და აგრეთვე შემხვედრი შემოწმებების სიმრავლით.

2.2. 2008 წელს განხორციელებული საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მიმოხილვა

ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილია 2008 წლის განმავლობაში ჩატარებული რევიზია-შემოწმებებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების ის მაგალითები, რომლებიც, გარდა მათი მნიშვნელობისა და სიმძიმისა, ატარებენ მასიურ ხასიათს და გამოვლინდა ჩატარებული რევიზია-შემოწმებების უმეტეს ნაწილში. კერძოდ:

1. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული რევიზია-შემოწმებების დროს, ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა, „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვადასხვა წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებებით

დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ“ და „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის“ ინსტრუქციების მოთხოვნათა დარღვევის ფაქტებს. კერძოდ, ბიუჯეტის პროექტის დასამტკიცებლად დიდი დაგვიანებით წარდგენის, ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილების შეტანამდე ვალდებულებების აღების, დამტკიცებული ასიგნებების ზევით ხარჯის გაწევისა და ვალდებულებების აღების, საბიუჯეტო განაცხადით წარდგენილი ასიგნებების დადგენილ ზღვრულ მოცულობაზე მეტობის, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნათა უგულებელყოფის, თანხების ხაზინის ერთიან ანგარიშზე აღურიცხაობის, ხაზინაში დამოწმების დოკუმენტების დაგვიანებით წარდგენის და ა.შ. ფაქტებს.

2. ხშირი იყო "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები, რაც გამოიხატებოდა ტენდერების ჩატარების წესებისა და ვადების დარღვევაში, სატენდერო დოკუმენტაციის სათანადოდ დაუკომპლექტებლობაში, შესყიდვების სააგენტოსათვის ანგარიშების წარუდგენლობაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე 5 ათას ლარზე მეტი ღირებულების შესყიდვების განხორციელებაში, ერთგვაროვანი საქონლის მომსახურებისა და სამუშაოების ცალკეულ შესყიდვებად დაყოფაში, სახელმწიფო შესყიდვების გეგმური პარამეტრების შეუსრულებლობაში, ტენდერების შედეგებზე ინფორმაციის გამოუქვეყნებლობაში და სხვა.

3. შემოწმებებით დადგინდა, რომ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა საქონლის, მომსახურების და სამუშაოთა შესყიდვის მიზნით ხელშეკრულებების გაფორმებასა და ამ ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების შესრულებას. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა მხარეთა ვალდებულებებს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან დარღვევით შესრულების შემთხვევაში, ზოგიერთ შემთხვევაში კი, ასეთი ვალდებულებები ატარებდა მხოლოდ

ცალმხრივ ხასიათს. გარდა ამისა, დამკვეთების მიერ არ ხდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენება დამრღვევების მიმართ და შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტი კარგავდა მნიშვნელოვანი ოდენობის თანხებს.

4. ჩატარებული რევიზია-შემოწმებების შედეგად მთელი რიგი მხარჯავი დაწესებულებების, მათ დაქვემდებარებში არსებული საბიუჯეტო დაწესებულებებისა და მათ კონტროლის ქვეშ მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დადგინდა სახელმწიფო სახსრების უსაფუძვლოდ, უსარგებლოდ და კანონდარღვევით გამოყენების ფაქტები.

5. გამოვლინდა სახელმწიფოს სარგებლობაში არსებული და მიქცეული ქონების მართვის, აღრიცხვის, შენახვის, შეფასების, განადგურების, განაწილებისა და/ან რეალიზაციის, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების ჩამოწერის წესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა უგულებელყოფის მრავალი ფაქტი.

6. დადგინდა, რომ რიგი სამინისტროები და უწყებები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების წარმოშობის, დავალიანებათა ინვენტარიზაციისა და მათი მოცულობების დაზუსტების საქმეს. შედეგად, ზოგიერთი დაწესებულების ბალანსზე დავალიანებები საერთოდ აღურიცხავი იყო, ხოლო ზოგიერთი დაწესებულების ბალანსზე ირიცხებოდა ხანდაზმულ დავალიანებათა მნიშვნელოვანი თანხები, რომელთა აღმოსაფხვრელად არ იქნა გატარებული ქმედითი ღონისძიებები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სადაც 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბუღალტრო ანგარიშებში ასახული იყო 1942,2 ათასი ლარის ოდენობის გაურკვეველი დებიტორული დავალიანება და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული სსიპ „ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“, სადაც დებიტორულ დავალიანებად ირიცხებოდა 2004 წელს „ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგით ვენახების გაშენების“ პროგრამის განსახორციელებლად 31 იურიდიულ და ფიზიკურ პირზე გაცემული 586,6 ათასი ლარი.

7. გამოვლინდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის არაერთგზის ფაქტი. კერძოდ, რიგი ორგანიზაცია-დაწესებულებების მიერ არ ხდებოდა ან თავისდროულად არ ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადების დარიცხვა და გადარიცხვა.

8. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ცალკეული თემატური შემოწმებებით ასევე გამოვლინდა უცხოეთიდან მიღებული კრედიტებითა და გრანტებით განხორციელებულ ინვესტიციური ხასიათის პროექტებსა და პროგრამებზე გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივად, არაეფექტურად და კანონდარღვევით გამოყენების ფაქტები. კერძოდ, ასეთ ფაქტები გამოვლინდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტში, პროექტის „სტატისტიკა-8“ და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ფონდის (IDF) მიერ განხორციელებული პროგრამების შემოწმებისას, ასევე, ენერგოგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაცია – I პროექტის ფარგლებში მიღებული თანხების და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ, იაპონიის მთავრობის პროგრამის „2 KR“-ის ფარგლებში მიღებული თანხების ხარჯვის კანონიერების შემოწმებებისას.

განსაკუთრებით აღსანიშვნის ღირსია ისეთ დაწესებულებებში და ორგანიზაციებში ჩატარებული შემოწმებები, როგორიცაა:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- "ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო", რომელშიც ჩატარებული იქნა მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის შედგენა-შესრულების მდგომარეობის თემატური შემოწმება.

შემოწმებით დადგინდა, რომ მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ცალკეული კომპონენტების მიხედვით წლიური საბიუჯეტო კანონებით დამტკიცებული ასიგნებების მოცულობები არ იყო სათანადოდ დასაბუთებული, რის გამოც ასიგნებათა მოცულობის ცვლილებები ხორციელდებოდა ყოველწლიურად.

სამინისტროს მიერ სახელმწიფო პროგრამები ნაცვლად მათი შესაბამისი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე მათი დამტკიცებისა, მტკიცდებოდა მხოლოდ წლის ბოლოს.

გარდა ამისა, სათანადოდ არ იყო მოწესრიგებული ბენეფიციართა აღრიცხვა, რის გამოც 2005 - 2007 წლების საბიუჯეტო ასიგნებების დასაგეგმ მოცულობებში გათვალისწინებული იყო რეგისტრაციაგაუვლელ ბენეფიციართა გარკვეული რაოდენობა, რომელთათვის შესყიდული მედიკამენტები ნაშთად გადადიოდა მომავალ წლებში. კერძოდ, 2005 წელს ინსულინის პრეპარატების განაწილების სიებში შეყვანილი იყო 753 ისეთი ბენეფიციარი, რომელთაც 2005 წლისათვის არ ჰქონდა გავლილი ხელახალი რეგისტრაცია და შესაბამისად, არ ჰქონდათ პრეპარატების მიღების უფლება. მათი ბენეფიციართა ბაზიდან ამოღება განხორციელდა ნაწილობრივ 2006, ნაწილობრივ 2007 - 2008 წლებში.

ასიგნებების პროგნოზირებისას სახელმწიფო პროგრამის ცალკეული კომპონენტების მიხედვით დასაგეგმი წლის დასაწყისისათვის არსებული სამკურნალო საშუალებების ნაშთის გაუთვალისწინებლობის გამო, გამოუყენებელი დარჩა საბიუჯეტო სახსრებით შესყიდული 136,2 ათასი ლარის ღირებულების 14,9 ათასი ერთეული ინსულინის პრეპარატი, ასევე უსასყიდლოდ მიღებული 28,3 ლარის ღირებულების მედიკამენტი.

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოში, პროგრამების კომპონენტების მიხედვით არსებული 2008 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მოქმედ ბენეფიციართა სიების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან“ გამოთხოვილ, 2005–2008 წლებში გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა შესახებ, მონაცემებთან შერჩევითი წესით შედარების შედეგად სხვადასხვა კომპონენტის ბენეფიციართა სიაში აღმოჩნდა 488 გარდაცვლილი პირი. ამასთან, გამოვლინდა ფაქტები, როდესაც მედიკამენტები გაცემულად ნაჩვენებია გარდაცვლილ პირებზე, მედიკამენტების მიღებაზე კი არსებობს ხელმოწერა.

არ იყო შესრულებული პროგრამის მოთხოვნები ბენეფიციართა განსაზღვრული კატეგორიის სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის შესახებ.

კერძოდ, ორგანოგადანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში 4,0 ათასი აშშ დოლარის და 17,2 ათასი ლარის ღირებულების მედიკამენტები გაცემული იყო პაციენტებზე, რომლებიც არ ირიცხებოდნენ ბენეფიციართა სიაში.

ადგილი ჰქონდა შესყიდვების კორექტირებულ გეგმებში სავარაუდო ღირებულებად კომპონენტისთვის დამტკიცებულ საბიუჯეტო ასიგნებებზე მეტი თანხების განსაზღვრის ფაქტებს. კერძოდ, დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტში შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ოდენობა კომპონენტისთვის დამტკიცებულ, 2006 წლის საბიუჯეტო ასიგნებას 278,0 ათასი ლარით აღემატებოდა. ანალოგიურად, 2008 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში, სავარაუდო ღირებულების გრაფაში ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტში მითითებული თანხა 470, 0 ათასი ლარით აღემატებოდა მოცემულ კომპონენტში საბიუჯეტო ასიგნებას.

შესამოწმებელ პერიოდში სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა განბაჟების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის მომსახურებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული 2 710,0 ათასი ლარის ასიგნება დაუსაბუთებელი იყო. მოცემული მომსახურების შესასყიდად გამოცხადებულ ტენდერებში არ იყო დაწესებული მოთხოვნები შესასყიდი მომსახურების ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა შესასყიდი მომსახურების რეალური ღირებულების გარკვევას და შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

ადგილი ჰქონდა ტენდერებში ისეთი პრედენდენტების გამარჯვებულად ცნობის ფაქტებს, რომელთა მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადებები და დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სხვადასხვა მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების უგულებელყოფის, ვალდებულებების დარღვევისათვის გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების, ასევე ხელშეკრულების პირობების უზრუნველყოფის საბანკო

გარანტიის თანხების დაკავების შემთხვევაში შესაძლებელი იყო სახელმწიფო ბიუჯეტს მიეღო 981,1 ათასი ლარი და 2050,3 ათასი აშშ დოლარი.

2005-2007 წლებში პროგრამებით გათვალისწინებულ სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა განბაჟების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის კომპონენტის ფარგლებში, მედიკამენტების გაცემის მომსახურების შესყიდვა, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა უგულებელყოფის გამო, განხორციელდა ორჯერ. შესაბამისად, 2005-2007 წლებში მედიკამენტების ავადმყოფებზე გაცემის მომსახურების ნაწილში, უკანონოდ იქნა ანაზღაურებული 50,3 ათასი ლარი.

2005-2006 წლებში მოსახლეობის სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის „დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის“ კომპონენტის ფარგლებში 1469,0 ათასი ლარის ღირებულების მედიკამენტების შეძენა, ფონდის ნაცვლად განხორციელებული იქნა დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის მიერ. ამასთან, ვინაიდან ფონდსა და ასოციაციას შორის ურთიერთობები არ იყო დარეგულირებული, არ არსებობდა ფონდის მხრიდან მედიკამენტების შესყიდვა-მოხმარებაზე ქმედითი მონიტორინგის წარმოების შესაძლებლობა.

- **საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი“.**

დეპარტამენტის მიერ სამუშაოების, მომსახურებისა და საქონლის შესასყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერებში გამარჯვებულად ცხადდებოდნენ ისეთი პრეტენდენტები, რომელთაც არ გააჩნდათ კონკრეტული მოცულობისა და სირთულის სამუშაოს წარმოების გამოცდილება. შედეგად, დეპარტამენტის მიერ „ჩალაუბანი-სიღნაღი-ანაგას“ საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად ცნობილმა პრეტენდენტმა ვერ შეძლო ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება და მის მიერ შეუსრულებული სამუშაოები ახალი ტენდერით იქნა შესყიდული, ამასთან იმაზე გაცილებით მაღალ ფასად, ვიდრე წინა ტენდერში მონაწილე მეორე პრეტენდენტი ითხოვდა. აქედან გამომდინარე სახელმწიფო ბიუჯეტის ზარალმა დაახლოებით 115,4 ათასი ლარი შეადგინა.

სარევიზიო პერიოდში, საქართველოს საავტომობილო გზების, 18 ზონა, მიმდინარე შეკეთებისა და ზამთრის პერიოდში მათი მოვლა-შენახვის სამუშაოებს 2004-2005 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, „მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად დასრულებამდე“, აწარმოებდა 18 საწარმო. 2007 წლის 1 აპრილისათვის შესასრულებელი იყო 6 121,5 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. დეპარტამენტის მიერ საავტომობილო გზების ახალი ზონალური დაყოფის მოტივით, 2007 წლის პირველ კვარტალში ამ გზების მთელი ქსელის მოვლა-შენახვის სამუშაოების შესყიდვაზე, საწარმოების კონკურენციის გარეშე, ჩატარდა ტენდერი, რომელიც დამატებულ გზებთან ერთად იმ გზების მოვლა-შენახვასაც ითვალისწინებდა, რომლებზედაც კონტრაქტორების მიერ ნაკისრი ვალდებულებები სრულად არ იყო შესრულებული და ბევრ საწარმოს საკმაოდ დიდი ოდენობის თანხები ჰქონდა ასათვისებელი. ამასთან, დეპარტამენტს კონტრაქტორებისთვის ოფიციალური არგუმენტაცია არ წარუდგენია, თუ რა სამართლებრივი საფუძვლები არსებობდა მათ სამოქმედო ზონებზე ახალი ტენდერის ჩასატარებლად. აღნიშნული კონტრაქტორების ძირითადმა ნაწილმა მონაწილეობა ახალ ტენდერშიც მიიღო და რიგ შემთხვევებში იმ გზების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესრულების უფლება მოიპოვა რომლებსაც ძველი ხელშეკრულებებით უვლიდნენ, თუმცა ძირითადი დასახელების სამუშაოების ერთეულის ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნულზე, 2007 წლის მარტში გაფორმებულ იქნა ახალი ხელშეკრულებები, ისე, რომ ძველი ხელშეკრულებები კვლავ ძალაში იყო. ამასთან ახალი ხელშეკრულებების მიხედვით განსაზღვრული მთელი რიგი დასახელების სამუშაოების ერთეულის ფასები აღემატებოდა ამ ტენდერის გამოცხადებამდე მოქმედი ხელშეკრულებებით განთვალისწინებულ ფასებს. შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზედმეტად იქნა გახარჯული 1 742,7 ათასი ლარი.

შემოწმებით ასევე დადგინდა, რომ კონტრაქტორების მიერ ხელშეკრულებების პირობების სისტემატურად დარღვევის ან არაჯეროვნად შესრულების ფაქტების არსებობის მიუხედავად დეპარტამენტს მათგან პირგასამტეხლოს გადახდა არ მოუთხოვია, მაშინ როდესაც მოთხოვნის შემთხვევაში 2004 და 2007 წლის

ხელშეკრულებების პირობების დარღვევისათვის კონტრაქტორებს ბიუჯეტის სასარგებლოდ 720,0 ათას ლარი უნდა გადაეხადათ.

მოუწესრიგებელი იყო საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებისა და ზამთრის პერიოდში მათი მოვლა-შენახვის სამუშაოების აღრიცხვიანობის მდგომარეობა. კერძოდ: შეკეთების სამუშაოებზე არ დგებოდა დეფექტური უწყისები, სამუშაოების წარმოების ჟურნალების ჩანაწერები შეუსაბამოებაში იყო მიღების აქტების მონაცემებთან, არაჯეროვნად სრულდებოდა ყოველთვიური გეგმა-პროგნოზები, არ ხდებოდა ყოველწლიური და ყოველთვიური ანგარიშების წარმოდგენა.

შემოწმებით დადგინდა, რომ დეპარტამენტის ეგიდით წარმოებულ საგზაო სამუშაოებზე ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებდნენ კერძო სამართლის იურიდიული პირები. თუმცა არ არსებობდა კონკრეტული ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავდა და დაარეგულირებდა ტექნიკური ზედამხედველის ფუნქციებს, უფლება-მოვალეობებსა და მისი საქმიანობის წესს. ფაქტობრივად, აღნიშნული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება გასული წლების ინერციით, როდესაც ტექნიკური ზედამხედველობა ხორციელდებოდა ჯერ საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ქვედანაყოფების, შემდგომში კი სახაზინო საწარმოების, ან საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან იმ კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომელთა საწესდებო კაპიტალის 100%-ს სახელმწიფო ფლობდა. უფრო მეტიც, იყო შემთხვევა, როდესაც სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას აწარმოებდა ქვეკონტრაქტორი საწარმოს დამფუძნებელი.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული სსიპ „გამოცდების ეროვნული ცენტრს“ (ყოფილი სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“) 2005-2006 წლების, აგრეთვე 2007 წლის პირველი ნახევრის ბიუჯეტის პროექტები არ მოუმზადებია და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის არ წარუდგენია. სამინისტროში წარდგენილი იყო მხოლოდ არასრულყოფილი ფორმით შედგენილი 2007 წლის მეორე ნახევრის საბიუჯეტო განაცხადი. რომელშიც არ იყო გათვალისწინებული საანგარიშო წლის

დასაწყისისათვის საბანკო ანგარიშებზე არსებული 817,0 ათასი ლარის ოდენობის ფულადი სახსრების ნაშთი და საკუთარი შემოსავლები.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკიდან გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში სრულად იყო გათვალისწინებული, როგორც ცენტრის ფუნქციონირების, ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებისთვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დაწესდა აბიტურიენტთა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობისა და საგამოცდო ტესტის ხელახალი შეფასების საფასური, რომელიც ცენტრის მიერ თანადაფინანსების თანხებში გათვალისწინებული არ ყოფილა. ამასთან, აღნიშნული გადასახადისგან მიღებული შემოსავლების სხვა დანარჩენ შემოსავლებთან ერთად ერთიანი ეროვნული გამოცდების დასაფინანსებლად მიმართვის ნაცვლად, რაც შეამცირებდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანადაფინანსების თანხების მოთხოვნას, ცენტრის მიერ 1 500,0 ათასი ლარის ოდენობის საკუთარი შემოსავლები განთავსდა სს „ბაზისბანკში“ ვადიან დეპოზიტზე. ცენტრის მიერ თანხების დეპოზიტზე განთავსების მომენტისათვის არსებული ან მომავალი შესაძლო სხვადასხვა სახის ვალდებულებების, მათ შორის საგადასახადო ვალდებულებების გაუთვალისწინებლობის გამო მითითებული ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულებები ცენტრის ინიციატივით მოშლილი იქნა ვადამდე, რის გამოც ცენტრს ფაქტიური სარგებელი არ მიუღია და დეპოზიტზე განთავსებული თანხა პრაქტიკულად სს „ბაზისბანკის“ საკრედიტო რესურსად გადაიქცა. გარდა ამისა, სხვადასხვს საბანკო ანგარიშებზე დიდი ოდენობის ნაშთების არსებობის პირობებში, ხშირ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა თანადაფინანსების აშშ დოლარის საბანკო ანგარიშზე მოკლევადიანი საბანკო სესხის აღების ფაქტებს. მიუხედავად იმისა, რომ ოვერდრაფტი უპროცენტო იყო, აშშ დოლარში აღებული სესხის ლარში და შემდგომში სესხის დაფარვის დროს ლარის აშშ დოლარში კონვერტირებისათვის ცენტრის მიერ სს „ბაზისბანკისთვის“ გადახდილმა საკომისიო თანხების ოდენობამ 7,5 ათასი ლარი შეადგინა.

2006-2007 წლებში ცენტრის ანგარიშზე აბიტურიენტების ინიციატივით საგამოცდო ტესტების ხელახალი შეფასებისათვის მიღებული 43,1 ათასი ლარი

გახარჯული იქნა არამიზნობრივად. ასევე არამიზნობრივად იქნა გახარჯული 16,5 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნა ცენტრის ხელმძღვანელისა და რამდენიმე თანამშრომლის ვაკის საცურაო აუზის და ფიტნეს კლუბის წევრობის ხარჯების დასაფარავად.

შემოწმებით ასევე დადგინდა, რომ შესამოწმებელ პერიოდში საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა მივლინებების დანახარჯების ანაზღაურების მარეგულირებელი კანონმდებლობის უგულებელყოფით, კანონდარღვევით იქნა გაცემული 48,0 ათასი ლარი.

შესამოწმებელ პერიოდში ცენტრის მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების“ დებულების მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის გამო, შეძენილი იქნა 130,0 ათასი ცალი საწერი ავტოკალამი. შედეგად გაწეული იქნა 120,1 ათასი ლარის ოდენობის ზედმეტი ხარჯი.

- სსიპ - „საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრის“ მიერ სახელმწიფოს სახელით მიღებული კრედიტების გამოყენების მიზნობრიობისა და კანონიერების თემატური შემოწმება.

შემოწმებით დადგინდა, რომ პროგრამის ხუთი კომპონენტით განსაზღვრული ვალდებულებების უმრავლესობა ან საერთოდ არ შესრულებულა, ან არსებული მდგომარეობით დაკარგული იყო პროგრამის განხორციელების პროცესში მიღწეული შედეგები. არ ფუნქციონირებდა პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული ოთხი ერთეული ფერმერის სახლი და იქ განლაგებული სასოფლო – სამეურნეო ტექნიკა. პროგრამის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული 3 431,4 ათასი აშშ დოლარი ოდენობის დაფინანსების მიღების მიუხედავად, სანახევროდაც კი ვერ იქნა მიღწეული ხელშეკრულებით და პროგრამით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი ეფექტი.

ცენტრის საშტატო შემადგენლობის, საკრედიტო ხელშეკრულებით ზუსტად განსაზღვრის მიუხედავად, შესამოწმებელ პერიოდში ადგილი ჰქონდა დამატებითი საშტატო ერთეულების შემოღებას, რამაც 176,6 ათასი ლარის უსაფუძვლო ხარჯვა

გამოიწვია. ცენტრის დაკვეთით ჩატარებულ ფერმერთა სახლებისა და ამბულატორიების სამშენებლო – სარეაბილიტაციო სამუშაოებზე შერჩევითი საკონტროლო აზომვის შედეგად გამოვლენილი იქნა შესრულებული სამუშაოების მოცულობების 29, 8 ათასი ლარის ოდენობით ხელოვნურად გაზრდის ფაქტები.

საკრედიტო ხელშეკრულების დარღვევით, ცენტრის მიერ ტენდერის ჩატარების გარეშე, იქნა შესყიდული ჩინეთიდან 47, 5 ათასი აშშ დოლარის ღირებულების სასოფლო – სამეურნეო ტექნიკა.

არ იყო მოგვარებული, 2004 – 2005 წლებში, ცენტრის მიერ შეძენილი 427,5 ათასი აშშ დოლარის ღირებულების სასოფლო – სამეურნეო ტექნიკის ლეგალური კუთვნილების საკითხი, გაურკვეველი იყო მის მოვლა-შენახვაზე პასუხისმგებელი დაწესებულება, რაც უკონტროლო ვითარებას ქმნიდა დასახელებული ტექნიკის დანიშნულებისამებრ გამოყენებისა და მოვლა-შენახვის თვალსაზრისით.

• **საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების დეპარტამენტში** ჩატარებული სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით გამართული აუქციონების, სარგებლობის ლიცენზიების გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების კანონიერების თემატური შემოწმება.

სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემისას სისტემატურად ირღვეოდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნები. უმრავლეს შემთხვევაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მამიებლების მიერ არ იყო წარმოდგენილი ინფორმაცია საკუთარი და მოზიდული (მენარდე) საწარმოების ფინანსური, ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების შესახებ, ასევე მათი წინადადებები წიაღით სარგებლობის პირობების შესახებ, წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელ ხუთ სუბიექტს, ლიცენზიით გამოყოფილი რესურსის სრულად ათვისების მიუხედავად, ლიცენზიები არ გაუუქმდათ.

გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ლიცენზიები გაცემულია სხვა რესურსზე, რაც არ იყო დაფიქსირებული ლიცენზიაში, ამასთან საწყისი ფასი გამოთვლილი იყო

არასწორად, ადგილი ჰქონდა აგრეთვე, მარაგების რაოდენობის ხელოვნურ ზრდას და სხვა.

შემოწმებამ გამოავლინა, რომ ლიცენზიის სარგებლობის კანონიერებაზე პასუხისმგებელი დაწესებულება, გარემოს დაცვის ინსპექცია, ვერ უზრუნველყოფს ჯეროვან კონტროლს. მათ მიერ გადმოცემული ინფორმაციის გადამოწმებით დამატებით გამოვლინდა წიაღით სარგებლობის ლიცენზიით განსაზღვრულ წლიურ ოდენობაზე მეტი რესურსის მოპოვების 23 შემთხვევა და მინიმალურ მოცულობაზე ნაკლები რესურსის მოპოვების 12 შემთხვევა. გარდა ამისა, წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელების მიერ 128 შემთხვევაში დაგვიანებით იყო წარდგენილი ინფორმაცია სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ.

შესამოწმებელ პერიოდში გაცემული სალიცენზიო მოწმობების სპეციალურ გრაფებში არ იყო ჩანაწერები მინისტრის ბრძანებებით განსაზღვრული სალიცენზიო პირობების შესახებ. ამასთან, 2005-2006 წლებში არც მინისტრის ბრძანებებში იყო მოხსენიებული კონკრეტული სალიცენზიო პირობები.

სერიოზული დარღვევები გამოვლინდა ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (GITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემისა და სარგებლობის საკითხების შესწავლისას. დარღვეულია აუქციონის თაობაზე ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნების დადგენილი წესები. გაუქმებული 45 სალიცენზიო მოწმობიდან დაბრუნებულია მხოლოდ 4. შესამოწმებელ პერიოდში მოქმედებდა მხოლოდ ერთი ლიცენზია, დანარჩენი მათგანის მიერ, მოპოვებული ლიცენზიების გადაცემის და/ან გაუქმების გამო, გადახდები სრულად არ განხორციელებულა და სახელმწიფო ბიუჯეტში ვერ იქნა მობილიზებული მნიშვნელოვანი ოდენობის თანხები.


2.3. 2008 წელს ჩატარებული რევიზია-შემოწმებების შედეგებზე მიღებული ზომები

ჩატარებული საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის შედეგების მიხედვით,

შესამოწმებელ ორგანიზაციებზე, მათ ზემდგომ ორგანოებზე და შემოწმებასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციებზე გაგზავნილ იქნა კონტროლის პალატის 120 წარდგინება, მიწერილობა და ინფორმაცია. (იხ. დიაგრამა N1).

დიაგრამა N1

კონტროლის პალატის მიერ საბიუჯეტო პროცესის მონაწილეებზე გაგზავნილი წარდგინებების, მიწერილობების და ინფორმაციების მაჩვენებლების დინამიკა 2004-2008 წ.წ.



ინფორმაციები ჩატარებული შემოწმებების თაობაზე, სათანადო რეაგირებისა და თანამდებობრივი პირების პასუხისმგებლობის საკითხების განხილვისათვის მიეწოდებოდა შესაბამის სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელებს, საქართველოს მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებს და რაიონის გამგებლებს.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ კონტროლის პალატის მიერ შედგენილი აქტები რევიზია-შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანების ყველა ფაქტზე, მოიცავდა სათანადო რეკომენდაციებს შემოწმებულ ობიექტთან მიმართებაში.


2008 წლის განმავლობაში სამართალდამცავ ორგანოებში შემდგომი სამართლებრივი რეაგირების მიზნით გადაიგზავნა-53 რევიზია-შემოწმების მასალა. გადაგზავნილი მასალებიდან სამართალდამცავი და სხვა მმართველობითი ორგანოების შუამდგომლობით ჩატარებული იყო 10 რევიზია-შემოწმება. მათ შორის, თბილისის პროკურატურის თხოვნით-2, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

პროკურატურის თხოვნით-2, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველოს თხოვნით-6.

სამართალდამცავი ორგანოების მომართვების საფუძველზე ჩატარებული რევიზია-შემოწმებების დინამიკა 2003-2007 წლებში მოცემულია №2 დიაგრამაში.

დიაგრამა №2

სამართალდამცავი ორგანოების მომართვების საფუძველზე ჩატარებული
რევიზია - შემოწმებების დინამიკა 2003-2008 წწ




პროკურატურის ორგანოებში გადაიგზავნა-44 რევიზია-შემოწმების მასალა, რომელთაგან წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს-4 მასალასთან დაკავშირებით; გამოძიება მიმდინარეობს-24 მასალასთან დაკავშირებით; წინასწარი გამოძიება შეჩერდა - 1 მასალასთან დაკავშირებით; წინასწარი გამოძიება შეწყდა-1 მასალასთან დაკავშირებით; სამართლებრივი რეაგირების შესახებ ინფორმაცია არ მიგვიღია-14 მასალასთან დაკავშირებით;

შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაიგზავნა-1 რევიზია-შემოწმების მასალა. სამართლებრივი რეაგირების შესახებ ინფორმაცია არ მიგვიღია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველოში გადაიგზავნა-8 რევიზია-შემოწმების მასალა, რომელთაგან 1 მასალაზე აღიძრა სისხლის სამართლის

საქმე, ხოლო 6 მასალაზე მიმდინარეობს გამოძიება. სასამართლოშია გადაგზავნილი - 3 მასალა. 9 პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში;

2004 – 2008 წლებში პროკურატურასა და სხვა სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემული მასალების რაოდენობა ასახულია N 3 დიაგრამაში.



3. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ 2008 წელს განხორციელებული სხვა საქმიანობა

3.1. კონტროლის პალატის ორგანიზაციული და სტრუქტურული სრულყოფა

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1992 წელს დაარსებულმა კონტროლის პალატამ რამდენიმეჯერ განიცადა ორგანიზაციულ-სტრუქტურული ტრანსფორმაცია, თუმცა მან, როგორც ფინანსური კონტროლის უმაღლესმა ორგანომ რადიკალურად ახლებურად ფუნქციონირებაზე გადასვლა 2004 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ამის ძირითად მიზეზს კი წარმოადგენდა ის, რომ სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო კონტროლის პალატის

საქმიანობის რეფორმირებისა და მისი უმაღლეს სახელმწიფო აუდიტორულ ორგანოდ გარდაქმნის პროცესი.

რეფორმის ძირითად მიზანს წარმოადგენდა 2010 წლის დასაწყისისათვის საქართველოს კონტროლის პალატის უმაღლეს ფინანსურ მაკონტროლებელ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფო სახსრების ხარჯვისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების შემოწმებას ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

2005 წლისათვის, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების უშუალო დახმარებით შეიქმნა კონტროლის პალატის საერთო განვითარების სტრატეგია და რეორგანიზაციის განხორციელების გეგმა, თუმცა სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო (კონტროლის პალატის თავმჯდომარის გარდაცვალება, დიდი ხნის განმავლობაში პალატის ფუნქციონირება თავმჯდომარის გარეშე და სხვა) ვერ მოხერხდა ამ გეგმით გათვლილი დონისძიებების უმრავლესობის რეალიზაცია, ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ დღეისათვის, თვით ეს გეგმაც გარკვეულწილად მოძველდა.

2008 წლის მეორე ნახევრიდან, კონტროლის პალატის მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ, იმ ვალდებულებების ფარგლებში, რომელიც აღებული იყო სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის (PFM) ფარგლებში დაიწყო აქტიური საქმიანობა უკვე არსებული სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად გათვალისწინებული რიგი საკითხების რეალიზაციისა და ასევე, ამ გეგმის განახლების მიზნით.

პირველი რიგის ამოცანად დასახულ იქნა „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ გადამუშავებული კანონპროექტის საქართველოს პარლამენტის მიერ 2008 წლის ბოლომდე მიღების უზრუნველყოფა და პარალელურად ამისა კონტროლის პალატის არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებისა და კადრების ოპტიმიზაციის პროცესის დაწყება, რადგან არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა კონტროლის პალატის, როგორც უმაღლეს სახელმწიფო აუდიტორულ ინსტიტუტად გარდაქმნისათვის აუცილებელ წინაპირობებს.

საქართველოს პარლამენტის მიერ „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ მიღებული ახალი კანონის ამოქმედებისთანავე პალატაში დაიწყო სტრუქტურული რეორგანიზაცია, რომელმაც მოიცვა, როგორც რევიზია-შემოწმებების განმახორციელებული, ისე სხვა ფუნქციონალური სტრუქტურული ქვედანაყოფები.

გათვალისწინებულ იქნა, რა განვითარებული და ასევე გარდამავალ ეტაპზე მყოფი რიგი ევროპული ქვეყნების გამოცდილება, აუდიტის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება გადაწყდა ქვეყნის ეკონომიკაში არსებული და სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფუნქციონალურ-დარგობრივი პრინციპის დაცვით.

არსებული სარევიზიო დეპარტამენტების ლიკვიდაციის შემდეგ შეიქმნა ისეთი ფუნქციონალურ-დარგობრივი მიმართულებების აუდიტის დეპარტამენტები, როგორიცაა: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს, სოციალური სფეროს, თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს და ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტები.

ამასთან, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ ახალი კანონით მონიჭებული დამატებითი უფლებამოსილებების რეალიზაციის მიზნით შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი.

ახალი კანონის ამოქმედების კვალობაზე განხორციელდა სხვა სტრუქტურული ცვლილებებიც, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი ორგანოს - დავების განმხილველი საბჭოს შექმნას, რომლის შემადგენლობაში თანამდებობრივად შედის კონტროლის პალატის თავმჯდომარე და აგრეთვე შეიძლება შეყვანილნი იქნენ კონტროლის პალატის მოსამსახურეები, შესაბამისი დარგის ექსპერტები, საზოგადოებრიობის ან/და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და საქართველოს პარლამენტის წევრები. საბჭომ საჯაროობის, ობიექტურობის, პროფესიონალიზმისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით უნდა უზრუნველყოფს კონტროლის პალატის მიერ შედგენილ აუდიტის აქტებზე, ცნობებზე, დასკვნებზე და ანგარიშებზე წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა და გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღება.

ასევე მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს კონტროლის პალატის ახალი სტრუქტურული დანაყოფის – საექსპერტო სამსახურის შექმნა, რომელიც დაკომპლექტდება სპეციალური ცოდნის, სათანადო გამოცდილებისა და სტატუსის მქონე სპეციალისტებით - ექსპერტებით, რომლებიც აუდიტის საჭიროებიდან გამომდინარე განახორციელებენ სპეციალური კვლევებს და შეადგენენ შესაბამის აქტებს. აღნიშნული სამსახურის შექმნა საგრძნობლად შეუწყობს ხელს აუდიტის აქტების ხარისხის ამაღლებას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვან ეკონომიას, გარედან მოწვეულ ექსპერტებზე გასაწევი ხარჯების ნაწილში.

გარკვეული სახის რეორგანიზაცია განიცადა კონტროლის პალატის სხვა სტრუქტურულმა ერთეულებაც, რაც ჩანს ანგარიშზე თანდართულ გრაფიკულ სქემებში, რომლებიც ასახავენ პალატის 2008 წელს არსებულ და ამჟამად მოქმედ ორგანიზაციულ სტრუქტურას (იხ. დანართები N3 და N4).

კადრების ოპტიმიზაციის კუთხით პალატაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაციის გატარების შემდეგ. კერძოდ ადრე არსებული სარევიზიო დეპარტამენტების ლიკვიდაციისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციის, აგრეთვე კონტროლის პალატაში დასაქმებული მუშაკების რიცხოვნების შემცირების შედეგად პალატის მუშაკთა საშტატო რიცხოვნობა 2009 წლის მარტის მდგომარეობით განისაზღვრა 350 საშტატო ერთეულით, საიდანაც 50 საშტატო ერთეული წარმოადგენს აუდიტორ-სტაჟიორის საშტატო ერთეულს.

აუდიტორ-სტაჟიორის თანამდებობის შემოღება განხორციელდა „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის შესაბამისად და მიზნად ისახავს კონტროლის პალატაში აუდიტორული საქმიანობით დაკავებული კადრების განახლების სტაბილური, მუდმივ მოქმედი და ანაზღაურებადი მექანიზმის შექმნას.

2009 წლის აპრილის თვეში გამოცხადებული და უკვე ჩატარებული ორ ეტაპიანი კონკურსის შედეგად 1380 კონკურსანტიდან აუდიტორ-სტაჟიორის თანამდებობაზე შერჩეული 50 ახალგაზრდა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის

2009 წლის 13 მარტის N116/42 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს კონტროლის პალატის სისტემაში სტაჟირების გავლის დებულების თანახმად, მომავალი 6 თვის მანძილზე, გაივლის აუდიტორული საქმიანობის დაწყებისათვის საჭირო თეორიული მომზადების სპეციალური კურსებს და იმავდროულად, ინდივიდუალური წესით დანიშნული ხელმძღვანელების ზედამხედველობით, უშუალო მონაწილეობას მიიღებს კონტროლის პალატის აუდიტის დეპარტამენტების მიერ განხორციელებულ აუდიტორულ საქმიანობაში.

აღსანიშნავია, რომ მოსამზადებელი ეტაპის დამთავრების შემდეგ, აუდიტორის თანამდებობაზე აუდიტორ-სტაჟიორის დანიშვნა განხორციელდება ზემოთ ხსენებული წესის თანახმად დადგენილი შეფასების სპეციალური მექანიზმის გამოყენებით.

3.2. კონტროლის პალატის საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა

იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლის ბოლომდე ვერ მოხერხდა „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ ახალი კანონის განხილვა და მიღება, 2008 წლის განმავლობაში კონტროლის პალატის საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფისა და განვითარებისათვის სამუშაოები ატარებდა უმნიშვნელო ხასიათს და შემოიფარგლებოდა, მხოლოდ შიდა საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიული აქტებში, მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე, უმნიშვნელო ცვლილებების შეტანაში.

გამომდინარე იქიდან, რომ „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ პარლამენტის მიერ 2008 წლის დეკემბერში მიღებული ახალი კანონი ითვალისწინებს INTOSAI-ის ძირითადი პრინციპების მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს კონტროლის პალატის სახელმწიფო უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტად გარდაქმნისათვის, მის საქმიანობაში სახელმწიფო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და აუდიტის განხორციელებისას აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებას, კონტროლის პალატამ აიღო ვალდებულება,

რათა ამ მიზნების მისაღწევად, კანონით დადგენილ ვადებში შეიმუშაოს და დაამტკიცოს შესაბამისი მეთოდოლოგიები, სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები.

ამავე კანონის შესაბამისად კონტროლის პალატამ უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს კონტროლის პალატის შიდა საქმიანობის მარეგლამენტირებელი ახალი ნორმატიული აქტი და ასევე, საქართველოს კონტროლის პალატის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი.

მიმდინარე წლის მარტიდან ამოქმედდა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2009 წლის 12 მარტის N32/42 ბრძანებით დამტკიცებული კონტროლის პალატის ახალი რეგლამენტი, რომელშიც კანონიდან გამომდინარე, დეტალურად იქნა გაწერილი პალატის შიდა საქმიანობის ორგანიზებასთან დაკავშირებული დებულებები და წესები.

ახალი რეგლამენტიდან გამომდინარე შემუშავდა აუდიტის დეპარტამენტის ტიპიური დებულებისა და აუდიტის აქტის შედგენის თაობაზე ინსტრუქციის პროექტები.

პალატაში მოქმედი გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოების (GTZ) პროექტის – „საქართველოს კონტროლის პალატის მხარდაჭერა“, დახმარებით მუშავდება საქართველოს კონტროლის პალატის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის პროექტიც.

ამავე პროექტის, შვედეთის სამეფოს ეროვნული აუდიტორული ოფისის (NAO) და მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების მხარდაჭერის პროექტის დახმარებით მიმდინარეობს საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტებისა და აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით კონტროლის პალატის მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფის მიზნით. დაწყებულია მუშაობა აუდიტის სახელმძღვანელოზე, რომელიც შეასრულებს სამაგიდო წიგნის ფუნქციას კონტროლის პალატის მიერ საფინანსო კონტროლის უმაღლეს ორგანოთა საერთაშორისო ორგანიზაციის INTOSAI-ს ძირითადი სტანდარტების მიხედვით აუდიტის დაგეგმვის, მომზადების, ჩატარებისა და აუდიტის შედეგებზე ანგარიშების მომზადების მლიანი პროცესისათვის.

3.3. კონტროლის პალატის ფინანსები და ქონება

„საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით კონტროლის პალატის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობა განისაზღვრა 10 737,5 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 3 107,4 მლნ ლარით ანუ 40,7%-ით მეტია. ასიგნებების ასეთი ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო არაფინანსური აქტივების საგეგმო მაჩვენებლის 4,5-ჯერ გაზრდისა და ამავე დროს შრომის ანაზღაურებაზე გასაწევი ხარჯების მოცულობის 19%-ით გადიდების გამო.

2008 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებების ფარგლებში გამოყოფილი სახსრების მთლიანმა მოცულობამ (გადახდამ) შეადგინა 9 120,4 მლნ ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 84,9%-ს შეადგენს და 1 605,2 ათასი ლარით ანუ 21,1%-ით მეტია 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელზე (იხ. დანართი N5).

როგორც კონტროლის პალატის 2008 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებიდან ჩანს გადასახდელების მთლიანი მოცულობიდან არაფინანსური აქტივების ზრდაზე გადახდილი სახსრების მოცულობამ შეადგინა 2 257,8 მლნ ლარი, რაც მთლიანი ბიუჯეტის 24,7%-ია და 14,5 საპროცენტო პუნქტით აღემატება 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელს. ამავდროულად ხარჯების სახით გადახდილი სახსრების მოცულობამ შეადგინა 6 862,7 ათასი ლარი, რაც, მხოლოდ 1,7%-ით მეტია 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი გადიდება 2008 წელს განპირობებულია იმითი, რომ საანგარიშო წელს დაიწყო კონტროლის პალატის ადმინისტრაციული შენობის ფართო მასშტაბიანი რეკონსტრუქციის სამუშაოები, რომელმაც მოიცვა, როგორც შენობის ფასადი, ასევე მისი ინტერიერი.

აღსანიშნავია, რომ დაწყებული სამუშაოები არის კონტროლის პალატის სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი

ნაწილი და მიზნად ისახავს კონტროლის პალატის მუშაკებისათვის მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამუშაო გარემოს შექმნას.


პარალელურად კონტროლის პალატის ცენტრალური ოფისის რეკონსტრუქციისა, ანალოგიური სამუშაოები დაიწყო კონტროლის პალატის ოფისშიც, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში.

გარდა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების გადიდებისა, საანგარიშო პერიოდში, ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯების მოცულობა. ამ მუხლის მიხედვით საკასო ხარჯების მოცულობამ 2008 წლის ბოლოსათვის 5 452,2 ათასი ლარი ანუ ამ დროისათვის საშტატო განრიგით არსებულ მუშაკთა რიცხოვნებიდან გამომდინარე, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, საშუალოდ თვეში 1 561,3 ლარი შეადგინა, რაც 220 ლარით მეტია 2007 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

პალატის დაფინანსებისა და შრომის ანაზღაურების მაჩვენებლების დინამიკა ბოლო ხუთი წლის მანძილზე ასახულია № 4 დიაგრამაში.

დიაგრამა N4

კონტროლის პალატის დაფინანსების მთლიანი მოცულობის და შრომის ანაზღაურების მაჩვენებლების დინამიკა 2003-2008 წლებში (ათას ლარებში)



საანგარიშო წლის განმავლობაში საქართველოს კონტროლის პალატის დებიტორული დავალიანება 422,5 ათასი ლარით შემცირდა და 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 333,7 ათასი ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში კრედიტორული დავალიანება 158,2 ათასი ლარით შემცირდა და 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1 615,7 ათასი ლარი შეადგინა.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შედგენილი იქნა პალატის მიერ განსახორციელებელ შესყიდვათა წლიური გეგმა, გარდა ამისა წლის განმავლობაში შედგენილი იქნა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავისდროულად წარედგინა სახელმწიფო შესყიდვების კვარტალური და მიმდინარეობის შესახებ ანგარიშები.

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შედგენილ იქნა 2009 წლის საქართველოს კონტროლის პალატის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც განხილულ და მიღებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2008 წლის 21 მარტის N6017-რს დადგენილების შესაბამისად. აღნიშნული პროექტის გათვალისწინებით საქართველოს კონტროლის პალატის წლიური ასიგნებების მოცულობა 2009 წლის წლიური საბიუჯეტო კანონის შესაბამისად განისაზღვრა 12 961,2 ათასი ლარის ოდენობით, რაც 20,7%-ით მეტია საანგარიშო წლისათვის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობაზე და ითვალისწინებს კონტროლის პალატის სტრატეგიული გეგმით დასახული ღონისძიებების განხორციელებისათვის შემდგომ ხელშეწყობას. კერძოდ, დამტკიცებული ბიუჯეტის თანახმად კიდევ უფრო გაიზარდა კონტროლის პალატის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ფონდი, რომელმაც შეადგინა 7 952,7 ათასი ლარი, რაც 41,1%-ით მეტია 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდას, ამ მუხლით განისაზღვრა 2 100,0 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად გამოყენებული იქნება პალატის მუშაკთა შრომითი პირობების შემდეგი გაუმჯობესებისა და კონტროლის პალატის ადმინისტრაციული შენობების რეკონსტრუქციის დამთავრების მიზნით.

2008 წლის განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დადგენილ ვადებში იქნა წარდგენილი 2008 წლის წლიური ნაერთი საბუღალტრო

ანგარიში (ბალანსი) და აგრეთვე, 2008 წლის პირველი კვარტლის, ექვსი თვისა და ცხრა თვის ბალანსები.

3.4. კონტროლის პალატის საერთაშორისო ურთიერთობები

დეკლარირებული მიზნების მისაღწევად აუცილებელი ღონისძიებების გასატარებლად, კადრების მომზადებასა და ტექნიკურ განვითარებაში საქართველოს კონტროლის პალატა იყენებს, როგორც საბიუჯეტო სახსრებს, ასევე საერთაშორისო დონორთა დახმარებას.

2008 წელს კონტროლის პალატამ გააღრმავა საქმიანი კონტაქტები და ურთიერთობები ფინანსური კონტროლის სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის ქვეყნების სახელმწიფო ფინანსური კონტროლის უმაღლეს ორგანოებთან.

საქართველოს კონტროლის პალატაში წარმოდგენილი დონორი ორგანიზაციების ძირითადი ამოცანაა კონტროლის პალატის ტრანსფორმაცია მსოფლიოს უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების მიერ საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად. 2008 წელს კონტროლის პალატაში ფუნქციონირებდნენ შემდეგი პროექტები:

- საჯარო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის მხარდაჭერი პროექტი (PSFMR-SP), რომელიც დაფინანსებულია 4 დონორი ორგანიზაციის მიერ: მსოფლიო ბანკი (WB), დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (DFID), შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) და ნიდერლანდების მთავრობა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერ-აუდიტორთა ფედერაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად აქტიურად მიმდინარეობდა კონტროლის პალატის თანამშრომელთა სწავლება და სერტიფიცირება.

- გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოების (GTZ) პროექტი „საქართველოს კონტროლის პალატის მხარდაჭერა“, რომლის მიზანია

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ, საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობით საჯარო სახსრების გამოყენების კონტროლის გაუმჯობესება.

გრძელდებოდა და ღრმავდებოდა ორმხრივი თანამშრომლობა მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციებთან, INTOSAI – სა და მის რეგიონალურ ჯგუფებთან, კერძოდ, EUROSAI – სა და ASOSAI – სთან, რომელთა წევრიც არის საქართველოს კონტროლის პალატა.

3.5. ურთიერთობები საქართველოს პარლამენტთან

საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლისა და „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ კანონის 58-ე, 59-ე და მე-60 მუხლების შესაბამისად, კონტროლის პალატის მიერ საქართველოს პარლამენტს წარედგინა: მოხსენებები 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ასევე, ანგარიში პალატის 2007 წლის საქმიანობის შესახებ, რომლებიც დადგენილი წესით განხილულ იქნა პარლამენტის კომიტეტების და ფრაქციების მიერ, აგრეთვე პარლამენტის პლენარულ სხდომებზე.

2008 წლის განმავლობაში სათანადო შენიშვნებითა და წინადადებებით მომზადდა და საქართველოს პარლამენტს გაეგზავნა დასკვნები 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილ ყველა ცვლილებაზე და ასევე, „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტზე.

საერთო ჯამში საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დავალებების თანახმად საქართველოს პარლამენტში გაიგზავნა შენიშვნები და წინადადებები 47 კანონპროექტის შესახებ.

4. საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები (2009-2011 წ.წ.)

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის თანახმად, დეკლარირებული იქნა ოთხი ძირითადი ღირებულება, რომელსაც საქართველოს კონტროლის პალატა უნდა ეფუძნებოდეს თავის საქმიანობაში: ობიექტურობა, დამოუკიდებლობა, საჯაროობა და პროფესიონალიზმი.

აღნიშნული ღირებულებების მიღწევის მიზნით 2009 წლის დასაწყისში პოლიტიკის მართვისა და კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) დახმარებით შემუშავდა საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების 2009-2011 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს იმ ღონისძიებებს, რომელთა ეტაპობრივი და თანმიმდევრული შესრულება უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ინსტიტუციის შექმნას სახელმწიფო (საჯარო) სექტორის სრულფასოვანი აუდიტის გასაანხორციელებლად.

ამ გეგმის შესაბამისად მომავალი სამი წლის განმავლობაში კონტროლის პალატის საქმიანობა უნდა განვითარდეს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით. კერძოდ:

◆ საქართველოს კონტროლის პალატის ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს შემუშავდეს და დაინერგოს მდგრადი და ეფექტური შიდა ორგანიზაციული მართვის სიტემები, რაც ხელს შეუწყობს კონტროლის პალატის, როგორც აუდიტორული ორგანოს ინსტიტუციურ და ორგანიზაციულ განვითარებას. აღნიშნულ მიმართულებაში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება ისეთ კომპონენტების სრულყოფაზე და განვითარებაზე, როგორიცაა: ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება, კონტროლის პალატის გადაწყვეტილებათა მიღების ფორმალიზებული სისტემის შემუშავება და დანერგვა, ეფექტური პროფესიული მომზადების სისტემის შემუშავება და კონტროლის პალატაში ცოდნის დაგროვების სისტემის ჩამოყალიბება/შემუშავება.

◆ თანამედროვე აუდიტის მეთოდოლოგიის დანერგვა, რაც მიზნად ისახავს კონტროლის პალატის აუდიტორულ საქმიანობის გადასვლას აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და აღიარებული პრინციპების საფუძველზე. ამ მიზნის მიღწევისათვის საერთაშორისო გამოცდილებისა კონტროლის პალატაში არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით შემუშავდება აუდიტის მეთოდოლოგია, ჩამოყალიბდება და დაინერგება ეფექტიანობისა და წინასწარი აუდიტის სისტემა.

◆ საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესება. ამ მიმართულების მიზანია ხელი შეეწყოს კონტროლის პალატისადმი

ნდობის ზრდასა და პროფესიონალური ინსტიტუტის რეპუტაციის მოპოვებას. მიზნის მისაღწევად კონტროლის პალატაში ჩამოყალიბდება პერიოდული საგამომცემლო ერთეული, შემუშავდება შიდა და გარე კომუნიკაციის სტრატეგია, კონტროლის პალატის დამოუკიდებლობის დონისა და მისდამი ნდობის გაზრდის გაზრდისათვის დაინერგება კონტროლის პალატის საქმიანობის შედეგების აღიარებული აუდიტორული კომპანიების მიერ გარე აუდიტი განხორციელების პრაქტიკა.

◆ საქართველოს კონტროლის პალატის ინფრასტრუქტურის განვითარება. ეს მიმართულება მიზნად ისახავს გაუმჯობესდეს კონტროლის პალატის მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურა და შესაბამისად სამუშაო გარემო. ამისათვის უახლოესი პერიოდში უნდა განხორციელდეს კონტროლის პალატაში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების სრული მოდერნიზაცია მათი ეფექტურობის გაზრდის მიზნით.